2 ქულა!

დონეცკი. ”შახტიორის” სტადიონი. 24 ივნისი.

”შახტიორი” (დონეცკი) – ”დინამო” (თბილისი) 0:1 (0:1).

”შახტიორი”: ჩანოვი, ჟუკოვი, ზვიაგინცევი, ბელოუსოვი, გუბიჩი, ვანკევიჩი, ვასინი, კონკოვი, ჩიხლაძე, დუდინსკი, საფონოვი.

”დინამო”: გოგია, ძოძუაშვილი, კანთელაძე, ხურცილავა, ხინჩაგაშვილი, პეტრიაშვილი, მ. მაჩაიძე, მჭედლიშვილი, გუცაევი (გავაშელი), გ. ნოდია, წერეთელი.

მსაჯი: ე. აზიმ-ზაედე (ბაქო).

დუბლიორები - 1:0.

ეს იყო ერთობ დაძაბული, საინტერესო მატჩი. ორივე გუნდი თავდაუზოგავად იბრძოდა წარმატების მოპოვებისთვის. ფიზიკურად საუცხოოდ მომზადებულმა მასპინძლებმა თავიდანვე შეტევითი ოპერაციები დაიწყეს და შეძლეს კიდეც ტერიტორიული უპირატესობის მოპოვება. ისინი ახლა ტექნიკურადაც კარგად არიან მომზადებული და, ბუნებრივია, მათი იერიშები მეტოქისთვის სახიფათო იყო.

თბილისელები უმთავრესად მწვავე კონტრშეტევებს ახორციელებდნენ. სწორედ ერთ-ერთი ასეთი კონტრშეტევით იქნა აღებული ”შახტიორის” კარი. ეს მოხდა მე-13 წუთზე, როცა წერეთლის ჩაწოდებული ბურთი კარგად მიიღო გ. ნოდიამ და თავური დარტყმით კარში გაგზავნა.

საბოლოოდ ამ ერთადერთმა გოლმა გადაწყვიტა მატჩის ბედი. მასპინძლები თავგამოდებით იბრძოდნენ ანგარიშის შეცვლისთვის, მაგრამ მეკარე გოგიამ და მცველებმა საუცხოო თამაშით მათ ამის საშუალება არ მისცეს.

მეორე ტაიმში სტუმრებმა თანდათან შეძლეს თამაშის გათანაბრება და მასპინძელთა კართან რამდენიმე საგოლე მომენტიც შეიქმნა. მაგრამ მჭედლიშვილმა და მაჩაიძემ ვერ გამოიყენეს კარის აღების კარგი შესაძლებლობანი, ბოლო წამზე კი წერეთლის მიერ ძლიერად დარტყმული ბურთი ძელს მოხვდა.

თბილისელებმა მეტად საჭირო 2 ქულა აიღეს სტუმრად.

ო. ბუჩმა (ტელეფონით, ჩვენი კორ.).

16 ივნისი, 1973 წ.